საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030188649294920

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ ****/************/**** ***

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის
(მის: ქ. თბილისი, ალექსიძის 1, კორპ. N2, ბ. 26)

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენი გ-01/1604-20 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ლუკა ღარიბაშვილი ბინაზე მოვლის ქვეპროგრამაში ჩაერთო მიმდინარე წლის 06 ნოემბრიდან. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ლუკას საჭიროებების შეფასების შედეგად და ამგვარი შეფასების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, მოხდა არასრულწლოვანისათვის სათანადო მომსახურების განსაზღვრა. სასამართლო განჩინების შესაბამისად, სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ და ბავშვის დედის ჩართულობით, უშუალოდ ლუკა ღარიბაშვილისთვის შეირჩა 4 ინდივიდუალური მზრუნველი.

ამასთან, ბავშვზე მორგებულ ინდივიდუალური მომსახურების გეგმაში, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მოხდება იმ აქტივობებისა და ღონისძიებების განსაზღვრა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ბავშვის ქცევის მართვა. ინდივიდუალური მომსახურების გეგმა (იმგ) შედგება ბავშვის პროგრამაში ჩარიცხვიდან ერთ თვეში. პირველ თვეში განხორციელებული შეფასების შემდეგ, გაიწერება ბავშვის სრული ინდივიდუალური მომსახურების გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელიც უნდა განახორციელოს ინდივიდუალურმა მზრუნველმა და ასევე გეგმიურ და არაგეგმიურ კრიზისულ ინტერვენციას.

მომსახურების მომწოდებლის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაში მითითებული იყო, რომ სასურველი იყო შშმ ბავშვთან მუშაობის გამოცდილება. ამასთან, ვაკანსიის დადებამდე, გასაუბრება ჩატარდა ბავშვთან მომუშავე ყველა სპეციალისტთან (ქცევითი თერაპევტი, სუპერვიზორი, ფსიქიატრი) და ლუკა ღარიბაშვილის დედასთან, სადაც ყველამ აღნიშნა, რომ პრიორიტეტული იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი პირების მზრუნველად აყვანა, რომლებიც იქნებოდნენ არასრულწლოვანზე ფიზიკურად ძლიერი. შესაბამისად, ჩვენთვის ცნობილა, რომ მათთან შეთანხმებით და ბავშვის საჭიროების მიხედვით, მოხდა შესარჩევი პირის კრიტერიუმების განსაზღვრა და აღნიშნული მოთხოვნების მიხედვით კადრის შერჩევა.

დამატებით გვინდა გაცნობოთ, რომ დღის ცენტრმა თავად უზრუნველყო შერჩეული კადრების პრაქტიკული გადამზადება ქცევის მართვის პოზიტიურ მეთოდებსა და ფიზიკური ინტერვენციის ტექნიკებში. კერძოდ, შერჩეულმა პირებმა გაიარეს მომზადება, იმ საკითხებთან დაკავშირებითაც, თუ რა არის ძალადობა და როგორ დავიცვათ ბავშვის საუკეთესო ინტერესი ამგვარ შემთხვევებში. აღნიშნული კადრებისთვის სავალდებულოა იმ აღრიცხვის კითხვარის შევსება, რომელიც მათთვის დარიგებული იქნება მულტიდისციპლინური გუნდისა და ადმინისტრაციის მიერ და დადასტურებული და დამოწმებული იქნება არასრულწლოვნის მშობლის ხელმოწერით ყოველი დღის ბოლოს, აღნიშნული პროცედურა თავის მხრივ უზრუნველყოფს სერვისის ეფექტურობის მონიტორინგს.

გარდა ამისა, ხსენებულ ვაკანსიაში მოთხოვნილი უნარ-ჩვევების დადასტურება სავალდებულო გახდება ყველა მონაწილისთვის და კანდიდატი ვალდებულია, წარმოადგინოს შესაბამისი განათლების/ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ნასამართლობის ცნობა და იმ პირის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთანაც მუშაობდა ასისტენტად (შშმ ბავშვის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია). კანდიდატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, განხორციელდა ვიდეო ან სატელეფონო ზარი. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი იყვნენ ლუკა ღარიბაშვილის კანონიერი და უფლებამოსილი წარმომადგენლები (მშობელი და იურისტები).

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №670 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის №654 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებით გათვალისწინებულია, რომ მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ

არასრულწლოვანზე ინდივიდუალური ზრუნვის განხორციელების მიზნით ხელშკრულებით დასაქმებულ პირს, ზედამხედველობას გაუწევს კონსულტანტი რთული ქცევის მართვის საკითხებში, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი პრაქტიკა და შეუძლია რთული ქცევის მართვაზე პროფესიული ზედამხედველობის განხორციელება, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოს სათანადო ხარისხით მომსახურების მიღების შესაძლებლობას.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამართული ერთობლივი შეხვედრა არ დაოქმებულა და შესაბამისად, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, რომ მოგაწოდოთ აღნიშნული შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

თამილა ბარკალაია